პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ სექტემბერი _____ 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტობუსი - MERCEDES-BENZ) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 26 აპრილის №5/23955 და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის ---- სექტემბრის ---------- წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, კერძოდ: MERCEDES-BENZ მარკის ავტობუსი; მოდელი - 0350; სახელმწიფო ნომერი - FC001TK; სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი NMB61335813237519; თეთრი ფერის; საწვავის ტიპი - დიზელი; გამოშვების წელი - 2004; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №212917183) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ერემეიშვილმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების გადაცემის მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი _____ დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების
(ავტობუსი - MERCEDES-BENZ) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ,
სახელმწიფოსათვის საკუტრებაში გადაცემის შესახებ
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნციპალიტეტის მერიაში განხილული იქნა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" მომართვა (N5/23955; 26.04.2024წ.), რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, კერძოდ: MERCEDES-BENZ მარკის ავტობუსი; მოდელი - 0350; სახელმწიფო ნომერი - FC001TK; სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი NMB61335813237519; თეთრი ფერის; საწვავის ტიპი - დიზელი; გამოშვების წელი - 2004; სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემას, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №212917183) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

ქალაქ ქუთისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, აღნიშნული ქონება გადაეცეს სახელმწიფოს, შემდგომში შპს „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისისათვის" (ს.ნ 212917183) სარგებლობაში, თხოვების ფორმით 10 (ათი) წლის ვადით გადაცემის მიზნით.

საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 108-ე მუხლის (**მუხლი 108** – მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსათვის ან/და ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა) პირველი პუნქტის შესაბამისად - „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მათ შორის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (შენობა-ნაგებობით ან მათ გარეშე), აგრეთვე წილები/აქციები (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონებისა) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ქონების მმართველის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე, ავტონომიურ რესპუბლიკას - ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიმართვის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ხოლო თბილისის შემთხვევაში - თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით". ამავე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, ამავე პუნქტის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნაზე დასაბუთებულ დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

განკარგულების პროექტს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მ/შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი — დავით ერემეიშვილი